თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 21

„20“ აპრილი 2016 წელი

**„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

1. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის №15 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფინანსდეს თანდართული ინფრასტრუქტურული პროექტები.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი*

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

| N | სოფლის დასახელება | სამუშაო | სახელმწიფო დაფინანსება ათ.ლარი | ადგილობრივი თანადაფინანსება ათ.ლარი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ვანთა | მინი სტადიონის მოწყობა | 80 | |
| 2 | ბუშეტი | საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია | 35 | |
| 3 | ბუშეტი | ბიბლიოთეკისათვის ოთახების შეკეთება | 5 | |
| 4 | ბუშეტი | სასმელი წყლის შიდა საუბნო ქსელის მოწყობა | 25 | |
| 5 | წინანდალი | საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია | 84.831 | 9.74 |
| 6 | კონდოლი | სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია | 21.1 | 2 |
| 7 | შალაური | საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის გაგრძელება | 22 | |
| 8 | შალაური | სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია | 198.169 | |
| 9 | კურდღელაური | საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის გაგრძელება | 17.9 | |
| 10 | კურდღელაური | ადმინისტრაციულ შენობა (ამბულატორიისთვის და სხვა ოთახების შეკეთება) | 38 | |
| 11 | გულგულა | მინი სატადიონის მოწყობა | 20 | |
| 12 | ვარდისუბანი | კულტურის სახლის შენობაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია | 24 | 21 |
| 13 | თეთრიწყლები | შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია | 6 | |
| 14 | ყარაჯალა | გარე-განათების მოწყობა | 10 | |
| 15 | რუისპირი | გარე-განათების მოწყობა | 7.996 | |
| 16 | რუისპირი | კულტსახლის რეაბილიტაცია | 70 | |
| 17 | იყალთო | მკლავჭიდის დარბაზის მოწყობა | 25 | |
| 18 | ნაფარეული | საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის გაგრძელება | 30 | 13 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19 | ლაფანყური | საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის გაგრძელება | 10 | 13 |
| 20 | სანიორე | ძალოსნობის დარბაზის მოწყობა | 82 | 21 |
| 21 | ჯუღაანი | შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია | 15 | |
| 22 | ჯუღაანი | სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია | 5 | |
| 23 | ართანა | საბავშვო ბაღში ოთახების შეკეთება და ინვენტარის შეძენა | 20 | |
| 24 | ფშაველი | საბავშვო ბაღის მშენებლობის გაგრძელება | 100 | |
| 25 | ლალისყური | ტრენაჟორებისთვის დარბაზის მოწყობა | 10 | |
| 26 | სულ ჯამი | | 961.996 | 79.74 |

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი